**დანართი**

# 2023 წელს საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შეფასების წესი

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „2023 წელს საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შეფასების წესი“ (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს, 2023 წელს, კოლეჯის კომპეტენციის ფარგლებში, აპლიკანტთა შეფასების წესსა და მეთოდებს :
   **ა) კულინარიის ხელოვნების მოდულურ პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაზე ( III დონე)**
   **ბ) კონდიტერის ხელოვნების მოდულურ პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაზე (III დონე)**
   **გ) ელექტროობის პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაზე (III დონე)**
   **დ) შედუღების პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაზე(III დონე)**
   **ე) ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაზე (III დონე)**
   **ვ) კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაზე (ინტეგრირებული, IV დონე)**
   **ზ) სასტუმრო მომსახურების პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაზე (ინტეგრირებული, IV დონე)**
2. შეფასების შედეგების საფუძველზე გამოვლინდებიან ის აპლიკანტები, რომლებმაც მოიპოვეს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება.

## მუხლი 2. შეფასებაში მონაწილეობის წინაპირობა

1. ამ წესის პირველი მუხლის „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, შეფასებაში მონაწილეობის უფლება აქვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, შესაბამის პროგრამაზე/პროგრამებზე დაშვების წინაპირობის გათვალისწინებით, რეგისტრირებულ აპლიკანტს, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული მინიმუმ საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. ამ წესის პირველი მუხლის „ვ-ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, შეფასებაში მონაწილეობის უფლება აქვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, შესაბამის პროგრამაზე/პროგრამებზე დაშვების წინაპირობის გათვალისწინებით, რეგისტრირებულ აპლიკანტს, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

**მუხლი 3. შეფასების ფორმა და ეტაპები**

1. შეფასება ამ წესის პირველი მუხლით გათვალისწინებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (გარდა ამ წესის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა ) ერთეტაპიანია და ტარდება მოტივაციური გასაუბრების ფორმით;
2. აპლიკანტთა შეფასება კულინარიის ხელოვნების მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტარდება ორ ეტაპად. შეფასების პირველი ეტაპი არის ტესტირება (საბაზო უნარების ტესტი). შეფასების მეორე ეტაპი არის მოტივაციური გასაუბრება.

**მუხლი 4. კულინარიის ხელოვნების მოდულურ პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასების პირველი ეტაპი**

1. კულინარიის ხელოვნების მოდულურ პროგრამაზე, აპლიკანტთა შეფასების პირველი ეტაპის მიზანია, მხოლოდ, შეფასების მეორე ეტაპზე გადასულ აპლიკანტთა გამოვლენა. საბაზო უნარების ტესტირების შედეგები აპლიკანტთა საბოლოო შეფასებაში არ აისახება.
2. საბაზო უნარების ტესტირების (შეფასების პირველი ეტაპის) ჩატარებას უზრუნველყოფს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი.
3. ტესტირების თარიღის შესახებ ინფორმაცია აპლიკანტებს ეგზავნებათ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ;
4. შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდგომ, აპლიკანტთა შეფასების შედეგებისა და განათლების მიღწეული დონის გათვალისწინებით, დგება ორი სია (1. აპლიკანტთა სია, რომელთა მიღწეული განათლების დონეა საბაზო საფეხური; 2. აპლიკანტთა სია, რომელთა განათლების მიღწეული დონე აღემატება საბაზო საფეხურს).
5. შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 25%. ამასთან, შეფასების მეორე ეტაზე გადადის საუკეთესო შედეგის მქონე არაუმეტეს 42 აპლიკანტი (კვოტის 70%-ის ფარგლებში, ის აპლიკანტები, რომელთა განათლების მიღწეული დონეა ზოგადი განათლების საბაზო საფეხური და 30%-ის ფარგლებში - ის აპლიკანტები, რომელთა განათლების მიღწეული დონე აღემატება ზოგადი განათლების საბაზო საფეხურს).
6. თუ შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდგომ, ორი ან ორზე მეტი აპლიკანტი, შეფასების შედეგების მიხედვით შედგენილ სიაში მოხვდა თანაბარი ქულით და მათი მეორე ეტაპზე გადასვლის შემთხვევაში, აპლიკანტთა რაოდენობა გადააჭარბებს ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილ ზღვარს, შეფასების მეორე ეტაპზე გადამსვლელ აპლიკანტთა რაოდენობას დაემატება აპლიკანტთა ის რაოდენობა, რაც აუცილებელია ამ პუნქტით გათვალისწინებული აპლიკანტების შერჩევის მეორე ეტაპზე გადასასვლელად.
7. თითოეულ პროგრამაზე, შეფასების მეორე ეტაპზე გამსვლელ აპლიკანტთა რაოდენობის ფარგლებში, მიღწეული განათლების დონის მიხედვით გამოყოფილი ადგილების შეუვსებლობის შემთხვევაში, ეს ადგილები

გამოიყენება მეორე სიაში მყოფი აპლიკანტების გასაუბრების მეორე ეტაპზე გადასაყვანად.

**მუხლი 5. შერჩევის კომისია, მოტივაციურ გასაუბრებაზე აპლიკანტთა შეფასება**

1. აპლიკანტს მოტივაციური გასაუბრების თარიღს აცნობებს კოლეჯი, მართვის საინფორმაციო ბაზაში მითითებულ ტელეფონის ნომერზე/ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნით.
2. მოტივაციურ გასაუბრებას ატარებს კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შერჩევის კომისია;
3. მოტივაციურ გასაუბრებაზე აპლიკანტის შეფასდება ქულათა სისტემით.
4. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს მაქსიმალური შეფასების 25%-ს. აპლიკანტი, რომელიც ვერ გადალახავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, ვერ ჩაირიცხება პროგრამაზე (თუნდაც თავისუფალი ადგილები დარჩეს);
5. შერჩევის კომისია, ამ წესის პირველი მუხლის „ა“ – „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტს აფასებს წინამდებარე წესის №1 დანართის სახით წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად;
6. შერჩევის კომისია, ამ წესის პირველი მუხლის „ვ“ - „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტს აფასებს წინამდებარე წესის №2 დანართის სახით წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად;
7. ამ წესის პირველი მუხლის „ა“ – „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, მოტივაციური გასაუბრების შეფასების კრიტერიუმების კოეფიციენტები და შეწონილი ქულები განისაზღვრება ამ წესის №3 დანართის შესაბამისად.
8. ამ წესის პირველი მუხლის „ვ“ - „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მოტივაციური გასაუბრების შეფასების კრიტერიუმების კოეფიციენტები და შეწონილი ქულები განისაზღვრება ამ წესის №4 დანართის შესაბამისად.

9. შეფასების პროცესის გამჭვირვალობისა და სანდოობის მიზნით კომისიის წევრებს შეფასება შეაქვთ შესაბამის ელექტრონულ ფორმაში - პორტალზე. ელექტრონული პლატფორმა თავად კრებს თითოეული კომისიის წევრის შეფასებას და აჯამებს აპლიკანტის ჯამურ ქულას, რომელიც ავტომატურად აისახება მონაცემთა ბაზაში.
10. მოტივაციური გასაუბრება მიმდინარეობს კოლეჯში (ბათუმისა და შუახევის მისამართებზე, ამ წესის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად), პირისპირ ფორმატში. აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია, მოტივაციური გასაუბრების ჩატარება დისტანციური კომუნიკაციის ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით;

**მუხლი 6. შეფასებაში მონაწილე აპლიკანტთა უფლება- მოვალეობები**

1. აპლიკანტი უფლებამოსილია იცნობდეს შეფასების კრიტერიუმებს. კოლეჯი შეფასების წესს განათავსებს საინფორმაციო დაფაზე, კოლეჯის ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში;
2. შეფასებაში მონაწილე აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს შეფასებაზე და  თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. აპლიკანტი არ დაიშვება შეფასებაზე, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე;
3. აპლიკანტი უფლებამოსილია, მოითხოვოს შეფასების თარიღის შეცვლა, საპატიო გარემოებების არსებობისას, (შესაბამისი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე);
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აპლიკანტმა უნდა მიმართოს კოლეჯს, შეფასების თარიღამდე არაუგვიანეს 2 დღით ადრე. შესაძლებელია, აპლიკანტი ჩაერთოს შეფასებაში დისტანციური კომუნიკაციის პლატფორმის გამოყენებით. კოლეჯი, შეფასების დღეს,  აპლიკანტს მიაწოდებს საკომუნიკაციო ბმულს (Zoom პლატფორმა).
5. გასაუბრების პროცესში დისტანციურად ჩართვის შემთხვევაში აპლიკანტი ვალდებულია უზრუნველყოს ვიდეო-ჩართვა.
6. კოლეჯი იხსნის პასუხისმგებლობას თუ აპლიკანტი მისი მხრიდან ტექნიკური გაუმართაობის გამო ვერ მოახერხებს შეფასების პროცესში დისტანციურად ჩართვას;
7. შერჩევის კომისიის წევრი, შესაბამისი გარემო - პირობების გათვალისწინებით, უფლებამოსილია დისტანციურად ჩაერთოს კომისიის მუშაობაში და უზრუნველყოს ელექტრონულ პლატფორმაზე აპლიკანტის შეფასებების ასახვა.

*2023 წელს სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ საბაზო და საშუალო პროფესიულ*
*საგანმანათლებლო პროგრამებზე*
*აპლიკანტთა შერჩევის ეტაპებისა და მეთოდების*
*განსაზღვრის წესის*
*დანართი №1*

**აპლიკანტი:** _____

**სახელი და გვარი**

# მოტივაციური გასაუბრება: შეფასების ფორმა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **1. ინფორმაცია პროფესიის შესახებ** | | | | | | |
| აპლიკანტი ფლობს ინფორმაციას პროფესიის ისეთი ასპექტების შესახებ, როგორიცაა: სამუშაოს მოცულობა, სამუშაოს ტიპი, სამუშაო გარემო, ფუნქცია-მოვალეობები, დასაქმების შესაძლებლობები, სამუშაოს დადებითი მხარეები და სირთულეები, ანაზღაურება. | 4 | 3 | 2 | 1 | 0 | აპლიკანტი არ ფლობს ინფორმაციას პროფესიის შემდეგი ასპექტების შესახებ: სამუშაოს მოცულობა, სამუშაოს ტიპი, სამუშაო გარემო, ფუნქცია-მოვალეობები, დასაქმების შესაძლებლობები, სამუშაოს დადებითი მხარეები და სირთულეები, ანაზღაურება. |
| **2. პროფესიული ცნობისმოყვარეობა** | | | | | | |
| გამოირჩევა სამიზნე პროფესიასთან შესაბამისი საგნებისადმი/საკითხებისადმი ინტერესით, იჩენს ინიციატივას; იცის როგორ უნდა მოიძიოს ინფორმაცია მისთვის საინტერესო პროფესიული საკითხების შესახებ; | 4 | 3 | 2 | 1 | 0 | პროფესიასთან დაკავშირებული საგნების მიმართ განსაკუთრებული ინტერესით არ გამოირჩევა. არ აქვს გაცნობიერებული მისთვის საინტერესო ინფორმაციის მოძიების საჭიროება. |
| **3. მსგავსი სამუშაოების შესრულების გამოცდილება** | | | | | | |
| აპლიკანტს აქვს პროფესიისთვის დამახასიათებელი სამუშაოების შესრულების გამოცდილება (ფორმალურად ან არაფორმალურად). მან იცის, რომელი ძირითადი სამუშაო იარაღები/ტექნიკა/აღჭურვილობა გამოიყენება პროფესიაში და აქვს მათი გამოყენების მინიმალური გამოცდილება მაინც. | 4 | 3 | 2 | 1 | 0 | კანდიდატს არ შეუსრულებია პროფესიისთვის დამახასიათებელი სამუშაოები, არ ფლობს ინფორმაციას ამ სამუშაოებისა და ძირითადი იარაღების/ტექნიკის/ აღჭურვილობის შესახებ, რომელიც გამოიყენება პროფესიაში. |
| **4. პროფესიის მნიშვნელობის გააზრება** | | | | | | |
| კანდიდატს კარგად აქვს გააზრებული პროფესიის ძირითადი ღირებულება/დანიშნულება როგორც ლოკალურ (თემის/სოფლის/ქალაქის), ასევე ეროვნულ (ქვეყნის/საზოგადოების) კონტექსტში. აცნობიერებს საკუთარ წვლილს პროფესიის განვითარებაში. აპლიკანტის პასუხები მეტყველებს მის გააზრებულ არჩევანზე. | 4 | 3 | 2 | 1 | 0 | კანდიდატს არ აქვს გააზრებული პროფესიის ძირითადი ღირებულება/დანიშნულება და თავისი როლი ამ პროფესიაში; არ აქვს გააზრებული საკუთარი წვლილი პროფესიის განვითარებაში; მისი პასუხები მეტყველებს იმაზე, რომ კოლეჯში ჩაბარების გადაწყვეტილება არ აქვს გააზრებული. |
| **5. პროგრამაზე სწავლის მზაობა** | | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კანდიდატს კარგად აქვს გაცნობიერებული კოლეჯში სწავლის გადაწყვეტილება; **ფლობს ინფორმაციას პროგრამის ძირითადი სპეციფიკის (დატვირთვა, სწავლების ხანგრძლივობა) შესახებ.** მეტ-ნაკლებად სრულად ფლობს ინფორმაციას პროგრამაზე შესასწავლი საგნების შესახებ. ინფორმაცია რელევანტურ წყაროებზე დაყრდნობით აქვს მოძიებული. პროგრამაზე ჩაბარების ძირითადი მოტივი სამიზნე პროფესიისადმი ინტერესია. მას კარგად აქვს გააზრებული სამომავლო გეგმები. შეგვიძლია ვთქვათ, რომ კანდიდატს პროგრამაზე სწავლის მზაობა აქვს. | 4 | 3 | 2 | 1 | 0 | კანდიდატს არ აქვს გააზრებული კოლეჯში სწავლის გადაწყვეტილება; **არ ფლობს ინფორმაციას პროგრამის ძირითადი სპეციფიკის (დატვირთვა, სწავლების ხანგრძლივობა) შესახებ.** არ ფლობს ან არასწორ ინფორმაციას ფლობს პროგრამაზე შესასწავლი საგნების შესახებ. ინფორმაცია ან საერთოდ არ მოუძიებია, ან არარელევანტურ, ნაკლებად სანდო წყაროებზე დაყრდნობით აქვს მოძიებული. არ იკვეთება ინტერესი შერჩეული პროფესიული პროგრამის მიმართ. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კანდიდატი ნაკლებად არის მზად აღნიშნულ პროგრამაზე სწავლისთვის. |
| **6. კარიერული განვითარების გეგმები** | | | | | | |
| აპლიკანტი დაინტერესებულია პროფესიის შესწავლით. გაცნობიერებული აქვს თუ რატომ სურს ამ პროფესიის დაუფლება, როგორ და რაში გამოიყენებს არა მარტო პროფესიას, არამედ მასთან დაკავშირებულ ცოდნასა თუ უნარ-ჩვევებს; ჩამოყალიბებული აქვს კონკრეტული მოლოდინი პროფესიის მიმართ და მკაფიოდ აქვს გაცნობიერებული საკუთარი ადგილი და როლი პროფესიაში. | 4 | 3 | 2 | 1 | 0 | აპლიკანტი არ ავლენს ინტერესს პროფესიისადმი; არ აქვს მკაფიო მოლოდინი პროფესიის მიმართ; არ აქვს გაცნობიერებული პროფესიასთან დაკავშირებული დადებითი მხარეები ან სირთულეები; არ აქვს პროფესიასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმები და ვერ აანალიზებს საკუთარ ადგილსა და როლს ამ პროფესიაში. |

**კომისიის წევრი:** _____

სახელი, გვარი, ხელმოწერა

*?2023 წელს სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ საბაზო და საშუალო პროფესიულ*
*საგანმანათლებლო პროგრამებზე*
*აპლიკანტთა შერჩევის ეტაპებისა და მეთოდების*
*განსაზღვრის წესის*
*დანართი №2*

**აპლიკანტი:** _____

**სახელი და გვარი**

# მოტივაციური გასაუბრება: შეფასების ფორმა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **1. ინფორმაცია პროფესიის შესახებ** | | | | | | |
| აპლიკანტი ფლობს ინფორმაციას პროფესიის ისეთი ასპექტების შესახებ, როგორიცაა: სამუშაოს მოცულობა, სამუშაოს ტიპი, სამუშაო გარემო, ფუნქცია-მოვალეობები, დასაქმების შესაძლებლობები, სამუშაოს დადებითი მხარეები და სირთულეები, ანაზღაურება. | 4 | 3 | 2 | 1 | 0 | აპლიკანტი არ ფლობს ინფორმაციას პროფესიის შემდეგი ასპექტების შესახებ: სამუშაოს მოცულობა, სამუშაოს ტიპი, სამუშაო გარემო, ფუნქცია-მოვალეობები, დასაქმების შესაძლებლობები, სამუშაოს დადებითი მხარეები და სირთულეები, ანაზღაურება. |
| **2. პროფესიული ცნობისმოყვარეობა** | | | | | | |
| გამოირჩევა სამიზნე პროფესიასთან შესაბამისი საგნებისადმი/საკითხებისადმი ინტერესით, იჩენს ინიციატივას; იცის როგორ უნდა მოიძიოს ინფორმაცია მისთვის საინტერესო პროფესიული საკითხების შესახებ; | 4 | 3 | 2 | 1 | 0 | პროფესიასთან დაკავშირებული საგნების მიმართ განსაკუთრებული ინტერესით არ გამოირჩევა. არ აქვს გაცნობიერებული მისთვის საინტერესო ინფორმაციის მოძიების საჭიროება. |
| **3. მსგავსი სამუშაოების შესრულების გამოცდილება** | | | | | | |
| აპლიკანტს აქვს პროფესიისთვის დამახასიათებელი სამუშაოების შესრულების გამოცდილება (ფორმალურად ან არაფორმალურად). მან იცის, რომელი ძირითადი სამუშაო იარაღები/ტექნიკა/აღჭურვილობა გამოიყენება პროფესიაში და აქვს მათი გამოყენების მინიმალური გამოცდილება მაინც. | 4 | 3 | 2 | 1 | 0 | კანდიდატს არ შეუსრულებია პროფესიისთვის დამახასიათებელი სამუშაოები, არ ფლობს ინფორმაციას ამ სამუშაოებისა და ძირითადი იარაღების/ტექნიკის/ აღჭურვილობის შესახებ, რომელიც გამოიყენება პროფესიაში. |
| **4. პროფესიის მნიშვნელობის გააზრება** | | | | | | |
| კანდიდატს კარგად აქვს გააზრებული პროფესიის ძირითადი ღირებულება/დანიშნულება როგორც ლოკალურ (თემის/სოფლის/ქალაქის), ასევე ეროვნულ (ქვეყნის/საზოგადოების) კონტექსტში. აცნობიერებს საკუთარ წვლილს პროფესიის განვითარებაში. აპლიკანტის პასუხები მეტყველებს მის გააზრებულ არჩევანზე. | 4 | 3 | 2 | 1 | 0 | კანდიდატს არ აქვს გააზრებული პროფესიის ძირითადი ღირებულება/დანიშნულება და თავისი როლი ამ პროფესიაში; არ აქვს გააზრებული საკუთარი წვლილი პროფესიის განვითარებაში; მისი პასუხები მეტყველებს იმაზე, რომ კოლეჯში ჩაბარების გადაწყვეტილება არ აქვს გააზრებული. |
| **5. პროგრამაზე სწავლის მზაობა** | | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კანდიდატს კარგად აქვს გაცნობიერებული კოლეჯში სწავლის გადაწყვეტილება; ინფორმაცია რელევანტურ წყაროებზე დაყრდნობით აქვს მოძიებული. პროგრამაზე ჩაბარების ძირითადი მოტივი სამიზნე პროფესიისადმი ინტერესია. მას კარგად აქვს გააზრებული სამომავლო გეგმები. შეგვიძლია ვთქვათ, რომ კანდიდატს პროგრამაზე სწავლის მზაობა აქვს. | 4 | 3 | 2 | 1 | 0 | კანდიდატს არ აქვს გააზრებული კოლეჯში სწავლის გადაწყვეტილება; ინფორმაცია ან საერთოდ არ მოუძიებია, ან არარელევანტურ, ნაკლებად სანდო წყაროებზე დაყრდნობით აქვს მოძიებული. არ იკვეთება ინტერესი შერჩეული პროფესიული პროგრამის მიმართ. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კანდიდატი ნაკლებად არის მზად აღნიშნულ პროგრამაზე სწავლისთვის. |
| **6. ზოგადი განათლების საგნების შესწავლის მოტივაცია** | | | | | | |
| აპლიკანტი დაინტერესებულია არა მხოლოდ პროფესიული კომპონენტით, არამედ ზოგადი განათლების საგნებითაც. **ფლობს ინფორმაციას პროგრამის ძირითადი სპეციფიკის (დატვირთვა, სწავლების ხანგრძლივობა) შესახებ.** მეტ-ნაკლებად სრულად ფლობს ინფორმაციას ინტეგრირებულ პროგრამაზე შესასწავლი საგნების შესახებ. მისი საუბრიდან იკვეთება, რომ ის მზად არის პროფესიასთან ერთად ზოგადი განათლების საგნებიც შეისწავლოს. | 4 | 3 | 2 | 1 | 0 | აპლიკანტი ნაკლებად დაინტერესებულია ზოგადი განათლების საგნებით. **არ ფლობს ინფორმაციას პროგრამის ძირითადი სპეციფიკის (დატვირთვა, სწავლების ხანგრძლივობა) შესახებ.** არ ფლობს ან არასწორ ინფორმაციას ფლობს ინტეგრირებულ პროგრამაზე შესასწავლი საგნების შესახებ. მისი საუბრიდან იკვეთება, რომ ის არ არის მზად პროფესიასთან ერთად ზოგადი განათლების საგნებიც შეისწავლოს. |
| **7. კარიერული განვითარების გეგმები** | | | | | | |
| აპლიკანტი დაინტერესებულია პროფესიის შესწავლით. გაცნობიერებული აქვს თუ რატომ სურს ამ პროფესიის დაუფლება, როგორ და რაში გამოიყენებს არა მარტო პროფესიას, არამედ მასთან დაკავშირებულ ცოდნასა თუ უნარ-ჩვევებს; ჩამოყალიბებული აქვს კონკრეტული მოლოდინი პროფესიის მიმართ და მკაფიოდ აქვს გაცნობიერებული საკუთარი ადგილი და როლი პროფესიაში. | 4 | 3 | 2 | 1 | 0 | აპლიკანტი არ ავლენს ინტერესს პროფესიისადმი; არ აქვს მკაფიო მოლოდინი პროფესიის მიმართ; არ აქვს გაცნობიერებული პროფესიასთან დაკავშირებული დადებითი მხარეები ან სირთულეები; არ აქვს პროფესიასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმები და ვერ აანალიზებს საკუთარ ადგილსა და როლს ამ პროფესიაში. |

**კომისიის წევრი:** _____

სახელი, გვარი, ხელმოწერა

2023 წელს სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ საბაზო და საშუალო
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე
აპლიკანტთა შერჩევის ეტაპებისა და მეთოდების
განსაზღვრის წესის
დანართი №3

აპლიკანტი: _____
(სახელი და გვარი)

| | კომისიის წევრები: | 1. ინფორმაცია პროფესიის შესახებ | 2. პროფესიული ცნობისმოყვარეობა | 3. მსგავსი სამუშაოების შესრულებით დაინტერესება | 4. პროფესიის მნიშვნელობის გააზრება | 5. პროგრამაზე სწავლის მზაობა | 6. კარიერული განვითარების გეგმები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 |
| 2 | | | | | | | |
| 3 | | | | | | | |
| 4 | | | | | | | |
| 5 | | | | | | | |
| 6 | | | | | | | |
| 7 | | | | | | | |
| 8 | | | | | | | |
| | საშუალო ქულა: | 4,0 | 4,0 | 4,0 | 4,0 | 4,0 | 4,0 |
| | შეწონილი ქულა: | 8,0 | 4,0 | 4,0 | 4,0 | 12,0 | 8,0 |
| | ჯამური ქულა: | 40,0 | | | | | |
| | პროცენტული წილი: | 100,0% | | | | | |

კანდიდატის სრული ქულა: 100

შერჩევის კომისიის წევრთა ხელმოწერები:

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

2023 წელს სსიპ კოლეჯ „ალექსის“ საბაზო და საშუალო
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე
აპლიკანტთა შერჩევის ეტაპებისა და მეთოდების
განსაზღვრის წესის
დანართი №4

აპლიკანტი: _____
(სახელი და გვარი)

| | კომისიის წევრები: | 1. ინფორმაცია პროფესიის შესახებ | 2. პროფესიული ცნობისმოყვარეობა | 3. მსგავსი სამუშაოების შესრულებით დაინტერესება | 4. პროფესიის მნიშვნელობის გააზრება | 5. პროგრამაზე სწავლის მზაობა | 6. ზოგადი განათლების საგნების შესწავლის მოტივაცია | 7. კარიერული განვითარების გეგმები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 |
| 2 | | | | | | | | |
| 3 | | | | | | | | |
| 4 | | | | | | | | |
| 5 | | | | | | | | |
| 6 | | | | | | | | |
| 7 | | | | | | | | |
| 8 | | | | | | | | |
| | საშუალო ქულა: | 4,0 | 4,0 | 4,0 | 4,0 | 4,0 | 4,0 | 4,0 |
| | შეწონილი ქულა: | 8,0 | 4,0 | 4,0 | 4,0 | 12,0 | 16,0 | 8,0 |
| | ჯამური ქულა: | 56,0 | | | | | | |
| | პროცენტული წილი: | 100,0% | | | | | | |

კანდიდატის სრული ქულა: 100

შერჩევის კომისიის წევრთა ხელმოწერები:

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____